ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7881861

ნომერი: AR11136783

თარიღი : 03.04.2026

გაცემის თარიღი : 15.04.2026

გაცნობის თარიღი : 16.04.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო შანიძე პ/ნ 01024077066
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის I კვარტალი, კორპუსი 6ბ, ბინა 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:

1. მოთხოვნის ტექსტში ზუსტად განიმარტოს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

2. წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმაზე დატანილი ავტოსადგომები ზუსტი გაბარიტული ზომების დაფიქსირებით.

3.საყრდენი კედლები დატანილ იქნეს არქიტექტურულ გენ-გეგმაზე. წარმოსადგენია კონსტრუქციული სქემების საექსპერტო შეფასება.

4. წარმოდგენილი იქნას საყრდენი კედლის დეტალური აქსონომეტრიული ნახაზი, განშლა და ჭრილი შესაბამისი ზომების, გრუნტში ჩაღრმავების ნიშნულისა და მოცულობის ანგარიშის ჩვენებით (მოცულობა იანგარიშება მიწაში ჩაღრმავების ჩათვლით).

5. წარმოადგინეთ 2020 წლის 4 დეკემბრის №732დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით, ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით.

6. წარმოდგენილ იქნეს შპს ტავ საქართველოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმართ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იჯარა, აღნაგობა და სხვ.), საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. წარმოდგენილ იქნეს გენერალური მენეჯერისა და გენერალური მენეჯერის მოადგილის მინდობილობის გაცემაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.